Georgian Scientists
ქართველი მეცნიერები
Vol. 8 Issue 4, 2026
https://doi.org/10.52340/gs.2026.08.04.17



ალექსანდრე ხახანაშვილი და ქართული დიალექტოლოგიის აქტუალური საკითხები

მარიამ კობერიძე
ფილოლოგიის დოქტორი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, +995577251275,
ელ. ფოსტა: maikoberidze@gmail.com
https://orcid.org/0000-0002-6604-1628

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატიაში გაანალიზებულია ალექსანდრე ხახანაშვილის დამოკიდებულება დიალექტოლოგიის აქტუალურ საკითხებთან. კვლევა ემყარება სამეცნიერო პუბლიკაციებს, საარქივო და პრესის მასალებს. ამ მხრივ, საინტერესოა, გაზეთ ,,ივერიასა“ და ,,აკაკის თვიურ კრებულში“ გამოქვეყნებული კორესპოდენციები: ,,ფშაველებისა და მოხეევეების შესახებ“, ,,თუშები“ ,,მგზავრის დღიურიდამ“, ,,ქართული სამწერლობო ენა“. ალექსანდრე ხახანაშვილი იყო ერთ-ერთი პირველი ეთნოგრაფი, რომელმაც შეადგინა ,,პროგრამა ეთნოგრაფიული და იურიდიული ცნობების შესაკრებად“ (შედგება 1260 კითხვის, 11 თავისა და 12 ქვეთავისაგან). ამ პროგრამის შედგენაში მონაწილეობდნენ მოსკოვის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტებიც. პროგრამა პრაქტიკულად გამოსაყენებელია ველზე სამუშაოდ არა მარტო ეთნოგრაფიისა და ისტორიისათვის, არამედ დიალექტოლოგიის, ფოლკლორისტიკისა და ქართული სამართლის ისტორიის შესწავლისათვის. პროგრამაში გამოკვეთილია მეთოდები მასალების ჩაწერასთან დაკავშირებით: 1. სიტყვები და ფრაზები ჩაიწეროს სწორი ტრანსკრიფციით; 2. ყურადღება უნდა მიექცეს ენის ლექსიკონსა და გრამატიკას.

ალექსანდრე ხახანაშვილი აქტიურად ჩაება საველე მუშაობაში: შემოიარა აღმოსავლეთ იმიერკავკასიის, ყიზლარისა და მოზდოკის მხარე და ორ ქართულ სოფელში ჩაიწერა ეთნოგრაფიული და დიალექტური ტექსტები. მან შეკრიბა, აღწერა და თავი მოუყარა საქართველოს მთიანეთის ეთნოგრაფიული ყოფისა და მეტყველების ამსახველ მასალებს. კილოების შესწავლა და მათი შემოტანა სალიტერატურო ენაში უნდა მოხდეს სიფრთხილით, რადგან მწერლობის განვითარება თხოულობს ენისა და კილოური მეტყველების დაახლოებას. მნიშვნელოვნია ენის სიწმინდის დაცვა ბარბარიზმებისაგან და ქართული ტერმინოლოგის ზუსტი თარგმნა სხვა ენაზე. დიალექტური თვალსაზრისით საყურადღებოა ქართველი ხალხის ყოფისა და

კულტურის ამსახველი ლექსიკა, გეოგრაფიული მიმოხილვის, ზნე-ჩვეულების, საქმიანობის, სოციალური ურთიერთობების, საქორწილო ტრადიციების, გლოვის წესების, რწმენა-წარმოდგენების, ტანსაცმლის, იარაღის, ხევისბერის ფუნქციის, მთისა და ბარისათვის დამახასიათებელი ტერმინები. ხშირ შემთხვევაში ალ. ხახანაშვილი ონომასტიკურ მასალას თვითონ აანალიზებს ენათმეცნიერული მიდგომით. მის მიერ ჩაწერილი მასალების დიალექტოლოგიური კვლევა-ძიება ქრონოლოგიურად მნიშვნელოვან დარგობრივ ლექსიკას გამოავლენს თანამედროვეობასთან მიმართებაში.

საკვანძო სიტყვები: ალექსანდრე ხახანაშვილი, დიალექტოლოგია, ეთნოგრაფია, ქართული ენა, ონომასტიკა, ლექსიკა.

დიალექტური მასალის მოპოვება, ცოცხალ სასაუბრო მეტყველებაზე დაკვირვება, მეურნეობის ამა თუ იმ დარგის, ყოფა-ცხოვრების ამასახველი მასალების ჩაწერა და შესწავლა დიალექტოლოგიური კვლევის საფუძველია. დიალექტოლოგიური ანალიზი თავისთავად გულისხმობს ფოლკლორული, ისტორიული და ეთნოგრაფიული მონაცემების გათვალისწინებას. მოსკოვის აღმოსავლური ენების ლაზარევის ინსტიტუტის პროფესორმა ალექსანდრე ხახანაშვილმა განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ისტორიული, ეთნოგრაფიული, დიალექტოლოგიური და ფოლკლორული მასალების შეკრების, შესწავლისა და გამომზიურების საქმეში. ალექსანდრე ხახანაშვილს საპატიო ადგილი უჭირავს XIX საუკუნის იმ საზოგადო მოღვაწეთა შორის, რომლებიც რუსეთში მოღვაწეობდნენ, მაგრამ დაუშრეტელი ენერგიით ემსახურებოდნენ ქართულ ენას, ლიტერატურას, ისტორიასა და კულტურას. მან ქართული ხალხური სიტყვიერების მასალების შეკრება-პუბლიკაცია და მისი შეფასება სტუდენტობის პერიოდიდან დაიწყო. ილია ჭავჭავაძის ,,ივერია“ დიდი გულისყურით და დაინტერესებით ადევნებდა თვალს ჯერ კიდევ სტუდენტ ალექსანდრე ხახანაშვილის სამეცნიერო ასპარეზზე გამოსასვლელად მზადებასა და მეცადინეობას [6]. ამიტომ იმდროინდელ ,,ივერიის“ გამოცემებში ხშირად იბეჭდებოდა ინფორმაცია ალ. ხახანაშვილის საქმიანობის შესახებ.

1887 წლის 20 მარტს გაზეთ ,,ივერიაში“ გამოქვეყნებული ალ. გარსევანიშვილის კორესპოდენცია ,,წერილი მოსკოვიდან“ საზოგადოებას ატყობინებდა საინტერესო ამბავს. მოსკოვში, პოლიტიკურ მუზეუმში ჩატარდა ეთნოგრაფიის მოყვარულთა საზოგადოების კრება, სადაც ალ. ხახანაშვილმა წაიკითხა მოხსენება ,,მოხევეების“ შესახებ. მასში აღწერილი იყო მოხევეთა ზნეობა, სარწმუნოება, ოჯახობა და სხვა. მისი რეფერატი ეყრდნობოდა ალექსანდრე მოჩხუბარიძის (ალექსანდრე ყაზბეგი) მოთხრობებს [4] .

1887 წელს გაზეთ ,,ივერიაში“ გამოქვეყნებული კორესპოდენცია ,,წერილი მოსკოვიდამ“ ერთი მსმენელთაგანის ხელმოწერით საზოგადოებას აუწყებდა, რომ ალ. ხახანაშვილს 1887 წლის 9 მარტს წაუკითხავს რეფერატი ,,მოხევეების“ შესახებ. სხდომას ათი მოსწავლე ქართველიც ესწრებოდა. მომხსენებელს წყაროდ ალ. მოჩხუბარიძის მოთხრობები და რომანები შესანიშნავად ჰქონდა გამოყენებული. მ. მ. კოვალევსკიმ ეთნოგრაფიული საზოგადოების სახელით მადლობა გადაუხადა. ამავე სხდომაზე პროფესორ მ. მ.

კოვალევსკისა და პროფესორ ვ. ფ. მილერის წინადადებით, ალ. ხახანაშვილი ,,ბუნებისმეცნიერების, ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მოყვარულთა საიმპერატორო საზოგადოებამ“ თავის ნამდვილ წევრად აირჩია [2]. რაც შეეხება ამ წერილის ავტორს, ვფიქრობთ, ალ. გარსევანიშვილი უნდა იყოს. ამის საფუძველს გვაძლევს, მის მიერ იმავე სათაურით (,,წერილი მოსკოვიდამ“) ,,ივერიის’’ წინა ნომერში დაბეჭდილი კორესპონდენცია [7]. ალ. ხახანაშვილმა ქართულ-ქისტურ ურთიერთობებს მიუძღვნა რეფერატი ,,თუშები“ [3].

თუშეთში ჩაწერილი მასალები დაიბეჭდა 1888 წლის 18 აგვისტოს გაზეთ ,,ივერიაში“, სახელწოდებით ,,მგზავრის დღიურიდამ“ [14].

ალ. ხახანაშვილის აღწერით, ,,თუშეთი მდებარეობს კახეთის სამხრეთით, მეზობლად ცხოვრობენ აღმოსავლეთით დიდოელები[11], დასავლეთით – ფშავ-ხევსურები, ჩრდილოეთით - ჩაჩნები“. ს. მაკალათიას აღწერით, თუშეთის მოსახლეობა სამ თემად იყოფა: პირიქითი, გომეწარი და ჩაღმა [9].

ალ. ხახანაშვილის ჩაწერილი მასალებით, თემში გაერთიანებულია საზოგადოება (სოფელი): წოვათა თემი (საგირითისა და ინდურთის საზოგადოება), გამოწრის თემი (ჯვარ-ბოსლისა და ილურთის საზოგადოება), ჩაღმის თემი (ნაციხვრისა და უმალოს საზოგადოება), პირიქითელების თემი (ფარსმისა და დართლოს საზოგადოება) [14].

აქ ჩაწერილი მასალებიდან აღსანიშნავია ტოპონიმები: ტბათანი, ალაზნის თავი, საყორნე. ზოგი ტოპონიმი დღეს მცირე ფონეტიკური ცვლილებით დასტურდება: ნაციხვარი (ნა-ციხ-ევ-არ-ი) - ნაციხარი; უმალო- ომალო; ჯვარ-ბოსლი - ჯვარბოსელი; გამოწარი-გომეწარი. დასტურდება გეოგრაფიულ სახელთა პრეფიქსიანი (სა-გირ-ი-თა), პრეფიქს-სუფიქსიანი (ნაციხვარი (← ნა-ციხ-ევ-არ-ი); საყორნე (სა-ყორნ-ე); უმალო (უ-მალ-ო) და სუფიქსიანი (ტბა-თან-ი) წარმოება. თანა თანდებული მთის კილოებში გამოყენებულია გეოგრაფიულ სახელთა საწარმოებლად: ქვათანი, ჴითანი (<ჴიდთანა), სასვენათაცთანა, ტბათანა და სხვა [10]. წოწ-ურ-ა. შდრ. თუშ. ,,წოწკურაცი - წვრილი, შორს სატყორცნი ისარი“ [12]. ხევს. ,,წოწკი-წვრილი ტოტი“[13]. სოფლის სახელწოდების მოტივაცია შესაძლებელი იყოს ,,წვრილი“.

მსაზღვრელ-საზღვრულიანი ტოპონიმია ალაზნის თავი. კომპოზიტს წარმოადგენს:ჯვარ-ბოსლი (ახლანდელი ჯვარბოსელი) და გურგაჭალა. ალ. ხახანაშვილს საინტერესო მოსაზრებები აქვს ტოპონიმთა ეტიმოლოგიის შესახებ. მისი აზრით, გურგაჭალა უნდა მომდინარეობდეს ,,მრგვალი ჭალიდან“. შდრ. ზ. აჭარ. მურგვი - ძაფის გორგალი [5]. იგივე ძირია, რაც ჭან. მურგვ-ალ-ი // მუგვ-ალ-ი (მრგვალი) [11].

ფხაკალყურა. ,,ფხაკალი - კურდღელი“ [16]. სახელწოდების მოტივაცია შესაძლებელია იყოს ,,კურდღლის ყური“.

გვარები ნაწარმოებია -ძე, შვილი, -ოვი სუფიქსით: ლაზი-ძე, ქადაგი-ძე, ინა-შვილი, გუგუ-შვილი, ცისკარ-ოვ-ი. ალ. ხახანაშვილი მიუთითებს დასახელებული გვარების ქართულ წარმომავლობაზე. ,,ბევრი აქ დადასტურებული გვარი გავრცელებულია

[11] ,,დიდოელები“ დაღესტანში მცხოვრები ტომთა ჯგუფის - ,,ცეზების“ ქართული სახელწოდებაა. ნ. არდოტელი დიდოელთა აღმნიშვნელ ეთნიკურ ტერმინს ცეზი (მრ. ცეზი-ბი) არწივის გამომხატველ ცე, ცეჲ (,,არწივი“) ლექსემას უკავშირებს ცე+ზი (ზედმიწ. ,,არწივი“+ ეთნონიმთა ფორმატი) [1].

როგორც თუშეთში, ისე საქართველოს სხვა მხარეში. ცისკაროვი გვარის წარმომადგენლის გადმოცემით, ისინი გადმოსახლებულან ჩეჩნეთიდან. გვარი მომდინარეობს ქართული სიტყვიდან - ცისკარი“ [14].

ჩაწერილ მასალებიდან ყურადღებას იქცევს თუშების ყოფა-ცხოვრების ამსახველი მასალები. გამოწრელებს, ჩაღმელებს და პირიქითელებს აქვთ ბინადრული ცხოვრება და ეწევიან ხვნა-თესვას. ხვნა-თესვას წოვა-თუშები არ მისდევენ, ერთადერთი იმათი ხელობა და სარჩო არის ცხვარი. აგვისტოს გასულს თუში ბრუნდება სახლში, ალვანში, გაჰკრეჭს ცხვარს, მოამზადებს ხორაგს (საჭმელ-სასმელი), ცოლ-შვილს დატოვებს და გადადის შირაქში. შინაური საქმე მინდობილი აქვთ დედაკაცებს. ისინი ქსოვენ ჭრელ ფარდაგებს, ხურჯინებსა და შალებს, აჭრელებენ ქსოვილს ბალახების წვენით. კაცები აკეთებენ კიდობნებს, კეხებს, ქუდებს [14].

შეკრებილ მასალებში გამოკვეთილია თუშეთში ხევისბერების, დეკანოზების, ხუცებისა და მნათეების მეთაურობით ძველი ცხოვრებისა წესი. ისინი ხანდახან იჩენენ ხოლმე თავს, როგორც ხალხის წარმომადგენელნი, მაგრამ ძველებური მნიშვნელობა, ანუ ავტორიტეტი სამუდამოდ დაუკარგავთ, ზღუდე იმათის მოქმედებისა ანუ კომპეტენციისა შემოკლებულა და შესუსტებულა. დეკანოზები იყვნენ წარმომადენელნი სარწმუნოების წესებისა და ჩვეულებისა, ხევისბერს კი ეკუთვნოდა საერო საქმეები-ადმინისტრაცია, მოსამართლისა და ომში წინამძღვრის თანამდებობა [14] .

ქრისტიანობის გავრცელებამ მთიელთა შორის და ახალი მოქალაქეობრივი წესების შეტანამ, დეკანოზებსა და ხევისბერებს შორის გაყოფილი თანამდებობა არია: ხევისბერებზე გადავიდა სარწმუნოებითი მოვალეობა, რაც წინათ დეკანოზებს ეკუთვნოდათ. ხევისბერების რიცხვი არ აღემატება 3-4-ს. პირველ ხევისბერს ეკუთვნის შეუცილებელი უფლება: აკურთხოს კურატი, მოუწვას მატყლი წმინდა სანთლით, დალოცოს, დაამწყალობოს და კურატის სისხლი წაუსვას შუბლზე კეთილმორწმუნე შემომწირველს. გასამრჯელოში იგი იღებს კურატის ბეჭსა და ტყავს. მეორე ხევისბერი, პირველი ხევისბერის ბრძანებით, აგროვებს ქადებს, ღვინოს, პურს ლუდის გამოსახდელად, მესამე ხევისბერი ლუდს ხდის. როცა უფროსი ხევისბერი დაიღლება, მაშინ იმის მოვალეობას რიგით შეასრულებენ უმცროსი ხევისბერები. ხუცებს (მღვდლებს), ხევისბერის სხვაგან ყოფნის დროს, უფლება ჰქონდათ აღესრულებინათ დამარხვის, მონათვლის წესი და სხვა.

ხევისბერის ხელქვეითია მნათე, რომელიც ხევისბერის ბრძანებით დაკლავს კურატს სიპ ქვაზე. ხევისბერი აბრძანდება სიპ ქვაზე და კითხულობს დასამწყალობელ ლოცვას. ის უვლის ხატის კურატებს, ვენახებს (ხატის მთელ ქონებას), ხატის ღვინოს, დაკლულ კურატებს მიართმევს მლოცველებს. კურატის გარდა, მასთან მოჰყავთ ქათმები, სწირავენ ზარებს, სარტყელს, ღვინოსა და ქადებს ... შესაწირავის დასახელება ეკუთვნის მკითხავს[13].

ალ. ხახანაშვილს ,,დასამწყალოებელი ლოცვის“ რამდენიმე ვარიანტი ჩაუწერია. 1. ,,დიდება შენდა, წმ. გიორგიო, ხახმატის ჯვარო, ნაღვარ მშვენიერო, შენამც იდიდები დადგმულის ბარძიმითა, დანთებული სანთლითა, დაქერეთილი სეფებითა“. 2.

,,ღმერთმა გაუმარჯოს ჩვენს ლაშარის ჯვარსა შორს მტერზედა, ახლოს ნადირზე, მისცეს წყალობა ქუდოსანს, მანდილოსანს, დიდსა, პატარას, ამ ეკლესიის კარზე მომსვლელთა ‘‘ (ფშავში ჩაწერილი) [15].

დაქერეთილი სეფები. შდრ. ხევს. ,,სეფები - სარიტუალო, ხატისათვის შესაწირი ნამცხვარი‘‘. აქედან არის ,,სეფე-პური - იგივე, რაც სეფე‘‘, ,,სეფე -სანთელი- სარტუალო სუფრა‘‘ [13]. ,,ქერქი -გაბრტყელებული ცომი ხინკლის ან კოტრის გასაკეთებლად‘‘ (ზ. აჭარ. ქერეჭი - პურის ან ჭადის ქერქი) [5]. ,,გაუქერქავი - ქერგაუცლელი, კანგაუცლელი‘‘ [13]. დაქერეთილი სეფები შესაძლებელია აღნიშნავდეს ხატისათვის შესაწირავ ქერქიან ნამცხვარს [8].

ალ. ხახანაშვილი იყო ერთ-ერთი პირველი ეთნოგრაფი, შეიძლება ითქვას პირველი დიალექტოლოგიც, რომელმაც შეადგინა ,,პროგრამა ეთნოგრაფიული და იურიდიული ცნობების შესაკრებად‘‘, რომელიც შედგება 1260 კითხვის, 11 თავისა და 12 ქვეთავისაგან. ამ საკითხს, აღნიშნავს ავტორი, რომ დიდი ხანია ყურადღება მიექცა დასავლეთ ევროპაში და რუსეთშიც, მომზადდა პროგრამა, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ საერო ნაწარმოების შემკრებლებმა. სასურველია ამ საქმეს უნდა მიეცეს ფართო და სწორი გზა მეცნიერებისაკენ. ამიტომ განვიზრახეთ მოგვეწოდებინა პროგრამა. ის ეხება ერის ყოველგვარ მხარეს მნიშვნელოვანი ცნობების შესაკრებად [17].

ალ. ხახანაშვილის აზრით, სასურველი იყო მასალები შეეკრიბათ მღვდლებს, მასწავლებლებს და, საერთოდ, იმ პირებს, რომლებსაც აქვთ დაკვირვების უნარი. მათ მიერ გამოგზავნილი მასალები, რომლებიც დაიბეჭდება ჟურნალ-გაზეთებში, მეცნიერებისათვის ექნება მნიშვნელობა. ამ პროგრამის მიხედვით უნდა შეკრებილიყო: 1. გეოგრაფიული და ისტორიული ცნობანი. რა სახელს უწოდებს ტომი თავის თავს, თავის ქვეყანას და მეზობლებს? 2. ანთროპონიმული ცნობები: კონკრეტულ ადგილზე მცხოვრები ადამიანების აღნაგობა, ფერი, სახელები, მეტსახელები. 3. სახლი და ავეჯეულობა. 4. ტანისამოსი და მისი სახეები (მამაკაცის, ქალის, ბავშვის, მოხუცების...). 5. საჭმელ-სამელი და მისი დამზადების წესები, მადნეული, მარილის სახეები, რომელი საჭმელია საპატიო და სხვა. 6. ყოფა-ცხოვრება და საქმიანობა. 7. ოჯახის ზნე-ჩვეულებანი (სიყვარული, სიძულვილი, პატიოსნება). ჯვრის წერა, მეორედ ქორწინება ქვრივის. ბავშვის აღზრდის ჩვეულებანი. 8. რწმუნებანი (რწმენა-წარმოდგენები). 9. ენა, ანბანი, ხელოვნებანი. ტრასკრიფცია. 1. თუ რომელიმე ერის შესახებ ცნობების შემკრებს არ შეეძლება შეისწავლოს კარგად მისი ენა, მხედველობაში მიიღოს შემდეგი პირობები: ა) ჩაიწეროს სიტყვები და ფრაზები სწორი ტრანსკრიპციით, თუ ეს ენა ეკუთვნის იმ ენათა რიცხვს, რომელთათვის არსებობს ტრანსკრიფცია. ბ) თუ ენა ნაკლებ ცნობილია, იხმაროს ქართული ასოები. ყურადღება უნდა მიექცეს ენის ლექსიკონს და გრამატიკას. 10. იურიდიული ცნობები. ერის რომელი შტოა დასახელებული. ესე იგი ვინ ცხოვრობენ? ვის მამულზე ცხოვრობენ? 11. ნათესაობითი კავშირი. ცხოვრობენ ნათესაობითი კავშირით? სოფლები რომლებშიც ცხოვრობენ მონათესავენი, გვარის უფროსის სახელით ხომ არ იწოდებიან? 13. წოდებანი. რა და რა წოდებად განიყოფება ამ სოფლის საზოგადოება? რა მოვალეობა ჰქონდათ ყმებს და ხიზნებს? 14. ნაშთები ძველი ნათესაობრივ კავშირთა.

ოჯახის სახელი, მეტსახელი, გვარი. რას გულისხმობს სიტყვა ნათესაობა? მოყვარე, ნათლია დეიდაშვილი, მამიდაშვილი, სიძე, რძალი და სხვა [17].

ალ. ხახანაშვილმა წერილში ,,ქართული სამწერლო ენა“ განიხილა ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის ახალი პერიოდი, კილოური ფორმების მნიშვნელობა მწერლის ენისათვის, რუსიზმები და სხვა. მისი მოსაზრებით, მწერლობის ენის ისტორიის ახალი ეტაპი იწყება გიორგი ერისთავის ნაწერებიდან და ცვლილების გზას ადგა თითქმის შეურევლად აქამდის. გიორგი ერისთვმა სალიტერატურო ენას ქობად დაუდო ქართლის კილო და ეს უკანასკნელი გამეფდა მწერლობაში. ასევე მოხდა, ფშავ-ხევურეთისა და გურია-იმერეთის კილოების შემოტანა მწერლობაში. ვაჟა - ფშაველამ, მისმა ძმებმა (თედო და ბაჩანა რაზიკაშვილებმა) და ალექსანდრე ყაზბეგმა შემოიტანეს ლიტერატურაში მთაში დარჩენილი სიტყვები და ფორმები. გურია - იმერეთის ძვირფასი მასალა შემოიტანეს დავით კლდიაშვილმა და ეგნატე ნინოშვილმა. მწერლობის განვითარება თხოულობს ენისა და კილოების დაახლოებას. საბაასო ენაში სიცხოველე და სინამდვილე ცხოვრებასთან განისაზღვრება კილოს შემოტანით. აქვე, ის ხაზს უსვამს ერთ ფაქტს, რომ 40 წლის განმავლობაში ქართული სამწერლო ენის ცვლილება საკმარისად ასაბუთებს უსაფუძვლობას იმ აზრისას, რომ ქართული ენა დროთა განმავლობაში არ შეიცვალა და ,,ვეფხისტყაოსნის“ ენა ახლაც სუყველასათვის გასაგებია [18]. ვფიქრობთ, ამ ამონარიდში ავტორი გულისხმობს მეცხრამეტე საუკუნის 60-იანი წლებიდან დაწყებულ პროცესს - ბრძოლა ახალი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრებისათვის [6].

ამრიგად, გაანალიზებული მასალები გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ ალექსანდრე ხახანაშვილის ღვაწლი, როგორც ქართველოლოგის, დიდია ახალგაზრდობის სწავლა-განათლების, ქართული ენის მოვლა-პატრონობისა და ქართული საზოგადოებრივი პროგრესული აზრის განვითარებაში. მისი მოღვაწეობა ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორი უნდა იყოს სამშობლოსათვის თავდადებული მამულიშვილი.

ალექსანდრე ხახანაშვილმა შეკრიბა, შეისწავალა და დავიწყებას გადაარჩინა ქართული ყოფისა და კულტურის მრავალი კომპონენტი. მის მიერ ჩაწერილი მასალები დიალექტოლოგიური კვლევა-ძიებისათვის საინტერესო და მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს თანამედროვეობასთან მიმართებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნ. არდოტელი, დიდოური ენა, თბილისი, 2007, გვ. 9-10.
2. გაზეთი ,,ივერია“, 1887, # 72, გვ. 3.
3. გაზეთი ,,ივერია“, 1887 , # 248, გვ. 2.
4. ა. გარსევანიშვილი, ორიოდე სიტყვა ეთნოგრაფიის შესახებ: ივერია, # 127, თბილისი, 1887, გვ. 2-3.
5. მ. კობერიძე, ზემოაჭარულის დარგობრივი ლექსიკა, თბილისი, 2011, გვ. 51.
6. მ. კობერიძე, ალექსანდრე ხახანაშვილი და ქართველოლოგიის ატუალური საკითხები: ფილოლოგიური კვლევები, III, გორი, 2021, გვ. 101-113.
7. მ. კობერიძე, ალექსანდრე ხახანაშვილის ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა: ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია, VII, გორი, 2022, გვ. 280-287.
8. მ. კობერიძე, თუშების ყოფა-ცხოვრების აღმნიშვნელი ლექსიკა ალექსანდრე ხახანაშვილის მიერ შეკრებილი მასალების მიხედვით: XLII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი, 2022, გვ. 75-81.
9. ს. მაკალათია, თუშეთი, თბილისი, 1983, გვ. 101.
10. თ. უთურგაიძე, ქართული ენის მთის კილოთა ზოგი თავისებურება, თბილისი, 1966, გვ. 75.
11. არნ. ჩიქობავა ,ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი: შრომები, IV,თბილისი, 2008, გვ. 235.
12. გ. ცოცანიძე , თუშური ლექსიკონი, თბილისი, 2012, გვ. 290.
13. ა. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, ქართული ენა, თბილისი, 2005, გვ. 757, 1090.
14. ა. ხახანაშვილი, მგზავრის დღიურიდამ: ივერია, #173, ტფილისი, 1888, გვ. 17-32.
15. ა. ხახანაშვილი, მგზავრის დღიურიდამ: ივერია, #177, ტფილისი, 1888, გვ. 71-87.
16. ა. ხახანაშვილი, მგზავრის დღიურიდამ: ივერია, #181,ტფილისი, 1888, გვ. 63-81.
17. ა. ხახანაშვილი, პროგრამა ეთნოგრაფიული და იურიდიულ ცნობების შესაკრებად: აკაკის თვიური კრებული,XI, ქუთაისი, 1899, გვ. 81-110.
18. ა. ხახანაშვილი, ქართული სამწერლო ენა: ივერია, #82, 1901, გვ. 3.

Alexandre Khakhanashvili and Current Issues in Georgian Dialectology

Mariam Koberidze
Doctor of Philology, Professor of Gori State University
+ 995577251275, Email: maikoberidze@gmail.com
https://orcid.org/0000-0002-6604-1628

Abstract

This article analyzes Alexandre Khakhanashvili's approach to current issues in dialectology. The research is based on scholarly publications, as well as archival and press materials. In this regard, the correspondences published in the newspaper "Iveria" and "Akaki's Monthly Collection"—such as "On the Pshavs and Mokheves," "The Tushs," "From a Traveler's Diary," and "The Georgian Literary Language"—are of particular interest. Alexandre Khakhanashvili was one of the first ethnographers to compile a "Program for Collecting Ethnographic and Legal Information" (consisting of 1,260 questions, 11 chapters, and 12 subchapters). Georgian students from Moscow University also participated in the development of this program. The program is practically applicable for fieldwork not only in ethnography and history but also for the study of dialectology, folklore, and the history of Georgian law. The program outlines specific methods for recording material: 1. Words and phrases should be recorded using accurate transcription; 2. Attention must be paid to the language's vocabulary and grammar.

Alexandre Khakhanashvili actively engaged in fieldwork: he traveled through the region of the Eastern Transcaucasus, Kizlyar, and Mozdok, and in two Georgian villages, he recorded. Ethnographic and dialectal texts. He collected, documented, and compiled materials reflecting the ethnographic life and speech of the Georgian highlands. The study of dialects and their integration into the standard literary language must be approached with caution, as the development of a written language requires a convergence between the standard language and dialectal speech. It is important to preserve the purity of the language by guarding against barbarisms and to ensure the precise translation of Georgian terminology into other languages. From a dialectical perspective, the vocabulary reflecting the life and culture of the Georgian people is noteworthy. This includes terms related to geographical features, customs, occupations, social relations, wedding traditions, mourning rituals, beliefs, clothing, weaponry, the functions of the "khevisberi" (community elder/leader), as well as terminology specific to the highlands and the lowlands. In many instances, Al. Khakhanashvili himself analyzes onomastic material using a linguistic approach. The dialectical research and investigation of the materials he recorded - chronologically.

Keywords: Alexandre Khakhanashvili, dialectology, ethnography, Georgian language, onomastics, vocabulary.